საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

KA990158245580516

დ.აღმაშენებლის გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
+995 32 2439503
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Web:www.meteo.gov.ge
Tel.:+995 32 2439502 Fax:
E-mail: info@meteo.gov.ge

 # 21/1503

24 /
თებერვალი / 2016 წ.

ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2016 წლის 4 თებერვლის (სააგენტოში შემოსვლის N1085, 08.02.2016) წერილი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

სააგენტო თავისი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა მომსახურების გაწევას, მათ შორის - გასცემს ინფორმაციას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს N502 დადგენილებით განსაზღვრული საფასურის შესაბამისად. ხსენებული დადგენილებით რეგულირდება მომსახურების სხვადასხვა სახეები, მათ შორის - ისინი, რომელსაც მოიცავს თქვენი რეკომენდაცია. საბადოებსა და გამოვლინებებთან დაკავშირებით ინფორმაცია გაიცემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოთხოვნის შინაარსისა და დადგენილების გათვალისწინებით, შესაბამისად მისი პროაქტიულად განთავსება ვერ მოხდება.

რაც შეეხება უწყებრივ სალიცენზიო რეესტრს, დღეის მდგომარეობით, მისი წარმოება მიმდინარეობს ქაღალდის ფორმატში (A3 ფორმატის წიგნი) და ივსება ხელით, შესაბამისად ამ ეტაპზე შეუძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში განთავსება. თუმცა აქ დაცული მონაცემების გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, ინფორმაცია რადიაციული ფონის შესახებ ყოველდღიურად განახლებად რეჟიმში განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ხდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი ყოველთვიურ ბიულეტინებში, რომელიც ასევე განთავსებულია ვებგვერდზე: www.meteo.gov.ge

ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც განისაზღვრება ზემოხსენებული დადგენილებით. ამასთან, ამ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. (საუბარია 160 წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებების მონაცემებზე, რომელიც დაცულია სააგენტოში.)

გარემოს ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მუდმივად ახორციელებს მის განთავსებას ვებგვერდებზე, რასაც გააგრძელებს მომავალშიც.

პატივისცემით,

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

თამარ ბაგრატია